სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კობა ნონიაშვილი

სოციოლოგიური კვლევების მეთოდიკა

ქუთაისი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კობა ნონიაშვილი

სოციოლოგიური კვლევების მეთოდიკა

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი
2015

ავტორისაგან

ნაშრომში, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორთა შრომებზე დაყრდნობით განხილულია სოციოლოგიაში გამოყენებული კვლევის მეთოდები. ჩვენს სოციოლოგიურ ლიტერატურაში უკვე განხილული საკითხები წარმოდგენილია უფრო სრულყოფილად, დამატებითი ნიუანსებით. ამასთან, ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, რომლებიც ჩვენში დღემდე განხილული არ ყოფილა. ეს არის პირველი ცდა, სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სრულყოფილად წარმოდგენისა, ამიტომაც იგი დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისგან. ავტორი მადლიერი იქნება და გაითვალისწინებს შესაბამისი დარგის სპეციალისტთა ყველა საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების სოციოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, სოციალური მეცნიერების მკვლევარებს, აგრეთვე დაეხმარება სოციოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

შევსებული გამოცემა

რედაქტორი: **პროფესორი კ. ქეცბაია**

რეცენზენტები: **პროფესორი. ვ.ჭიაურელი**
პროფესორი. დ. ზაქარაია

ISBN 978-9941-450-75-4

შინაარსი

შესავალი.....5

თავი 1.

1.1. სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურა 11
1.2. მეცნიერული მეთოდი და მისი ძირითადი პრინციპები ...15
1.3. სოციალური ფაქტები 23
1.4. ემპირიული სოციოლოგიის წარმოშობა და განვითარება ...26
1.5. გამოყენებითი გამოკვლევები 36
1.6. სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა 63
1.7. შერჩევის მეთოდოლოგია და თეორია 89
1.8. სოციოლოგია და სამეცნიერო კვლევა 107

თავი 2.

სოციოლოგიური გამოკვლევის სახეები.....115
2.1. სოციალური და სოციოლოგიური გამოკვლევები.....116
2.2. საცდელი და პილოტაჟური გამოკვლევები 126
2.3. აღწერითი და ანალიტიკური გამოკვლევები 130
2.4. წერტილოვანი (ერთჯერადი) გამოკვლევები 131
2.5. შერჩევითი და მთლიანი დაფარვის გამოკვლევები 134
2.6. განმეორებითი გამოკვლევები.....135
2.7. მონიტორინგი.....137
2.8. საველე და ლაბორატორიული გამოკვლევები 141
2.9. შემთხვევის ანალიზი (Case study) 142
2.10. ოპერატიული გამოკვლევები.....145

თავი 3.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები 146
3.1. მეცნიერული გამოკითხვის მეთოდი.....161
3.2. მასობრივი გამოკითხვა, მისი სახეები და ტიპები.....166
3.3. მარკეტინგული გამოკვლევა.....180

3.4. ექსპერტული გამოკითხვა 224
3.5. პოლიტიკური კვლევის მეთოდები 237
3.6. შედარებითი და ისტორიული კვლევის მეთოდი 249
3.7. დოკუმენტების ანალიზი 253
3.8. გაფართოებული ინტერვიუ 269
3.9. ფოკუს-ჯგუფი 276
3.10. დაკვირვების მეთოდი 282
3.11. ექსპერიმენტის მეთოდი 296
3.12. ACTION RESEARCH 309

თავი 4.

ეთიკური საკითხები 331

თავი 5.

ცნობილი კვლევითი ცენტრები 337
კონსალტინგური ორგანიზაციები 362
გამოყენებულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი 364
გამოყენებული ლიტერატურა 375

შესავალი

სოციოლოგია მიეკუთვნება იმ მეცნიერებათა რიცხვს, რომლებიც შეისწავლიან არა მხოლოდ საზოგადოებას მთლიანობაში, არამედ მის ცალკეულ ნაწილებს, სფეროებს, ელემენტებს. საზოგადოება იმდენად რთული ობიექტია, რომ ერთ მეცნიერებას მისი შესწავლა არ შეუძლია. მხოლოდ სხვადასხვა მეცნიერების გაერთიანებული ძალისხმევით შეიძლება ადამიანთა საზოგადოების სრულად და წინააღმდეგობის გარეშე აღწერა და შესწავლა. მეცნიერებების ერთობლიობა, რომლებიც შეისწავლიან ერთსა და იმავე ობიექტს, განსაკუთრებით ისეთ დიდს, როგორიც საზოგადოებაა, გაერთიანებულია ერთმანეთთან ლოგიკური კავშირებით, საერთო ცნებებითა და მეთოდებით.

მისთვის მონათესავე დისციპლინებთან (ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ეკონომიკა, ანთროპოლოგია, პოლიტიკის მეცნიერებები და ეთნოგრაფია) მჭიდრო თანამეგობრობაში სოციოლოგია ქმნის მეცნიერული ცოდნის ქვესისტემას — სოციალურ ცოდნას. მონათესავე დისციპლინები სესხულობენ ან გადმოიღებენ ერთმანეთისგან ცნებებსა და კატეგორიებს, ცვლიან კვლევის შედეგებს, მეთოდებსა და თეორიულ დასკვნებს. როცა მიუთითებენ, რომ სოციოლოგია მიეკუთვნება სოციალურ მეცნიერებებს, მაშინ ამბობენ, რომ იგი წარმოადგენს მეცნიერებას — ადამიანთა, როგორც დიდი სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა ქცევების, საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და მასში შემავალი სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირების ობიექტურ კანონზომიერებათა შესახებ.

სოციოლოგია იკვლევს ადამიანთა დიდი მასის ყოველდღიურ ქცევებს, მათ რწმენას, ცნობიერების მდგომარეობას, მენტალიტეტს, ფასეულობებს, აზრებს, ურთიერთმიმართებას. ადამიანთა ქცევას შეისწავლის ყველა სოციალური მეცნიერება. მათ ასეც უწოდებენ „ქცევით დისციპლინები“. სოციოლოგს საქმე აქვს არა კონკრეტულ „არამედ გასაშუალებულ ადამიანთან-განზოგადებულ სქემატურ ტიპთან,

რომლის თავისებურებები დამახასიათებელია ერთბაშად ყველასათვის და არავისთვის ცალ-ცალკე. სოციოლოგს აინტერესებს შემდეგი პრინციპული საკითხები. რომელი მიმართულებით და როგორი სახით ახდენს გავლენას საზოგადოება (მისი სტრუქტურა და ინსტიტუტები) ადამიანთა ქცევებზე; როგორ შეიძლება ცალკეული ადამიანების გამოკითხვის საფუძველზე მივიღოთ ამა თუ იმ ჯგუფის ტიპიური წარმომადგენელის სოციალური პორტრეტი.

თანამედროვე მკითხველი უკვე ჩვეულებრივ, გაოცების გარეშე ხვდება ცნობებს სოციოლოგების შესახებ, რომლებიც კარგად ნაცნობ ორგანიზაციებსა და კომპანიებში მოულოდნელ ფაქტებს გამოამჟღავნებენ. მაგალითად, როცა წარმატებულ ფინანსურ კომპანიაში სოციოლოგები გამოავლენენ სოციალურ კოროზიას, შეუმწყნარებლობის ატმოსფეროს ხელმძღვანელებსა და ხელქვეითებს, აქციონერებსა და მენეჯერებს, მუშებსა და ადმინისტრაციას შორის. გამოკვლევის სპეციალური მეთოდებით ისინი გამოააშკარავებენ "ავადმყოფ" ადგილებს: მმართველობის ავტორიტარულ სტილს, ხელქვეითების უინიციატივობას, ერთი სოციალური ჯგუფის გულგრილობას სხვების მიმართ.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, სოციოლოგიურ გამოკვლევებს შეუძლიათ ძალიან ბევრი. კერძოდ: გაიგონ მოსახლეობის უმრავლესობის აზრი, იწინასწარმეტყველონ პოლიტიკური არჩევნების შედეგები, ახსნან მოსახლეობის მასიური უკმაყოფილება, ან პირიქით, საერთო გატაცება საეჭვო საქონლით, საესტრადო ვარსკვლავებით, რელიგიური იდეებით.

არცერთი პოლიტიკოსი, არცერთი ხელმძღვანელი დასავლეთში არ გააკეთებს სერიოზულ განცხადებას, სანამ არ გაიგებს, თუ რას ფიქრობს ამ საკითხზე ხალხი. სოციოლოგებს შეუძლიათ აჩვენონ, თუ როგორ მერყეობს პოლიტიკური მოღვაწის რეიტინგი მისი სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ. ანკეტების საშუალებით, თუ ისინი შედგენილია მეცნიერული წესებით, შეიძლება შესწავლილ იქნეს ადამიანების ფასეული ორიენტაციები და განწყობა, მათი შრომითი საქმიანობის მო-

ტივები, ქცევითი, ვერბალური ასპექტები. სოციოლოგი სვამს კითხვებს, დახვეწილად ფორმულირებულს, "ეშმაკურად" განლაგებულს ანკეტის ფურცელზე და ვარაუდობს, მიიღოს რესპონდენტებისაგან (გამოსაკითხებისაგან) გულწრფელი პასუხები. მეცნიერები ამ პასუხებიდან, საკმაოდ რთული ტექნიკის გამოყენებით, გამოყოფენ საეჭვო იმფორმაციას. ამ ხერხების ერთობლიობას ემატება ანკეტების შედგენის ტექნიკა, საველე გამოკვლევის ორგანიზაცია, შერჩევის განსაზღვრა, დოკუმენტების კოდირება, მათი დამუშავება და მონაცემთა ცხრილებში წარმოდგენა, რაც ქმნის სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდიკას. თუ ამას დავუმატებთ გამოკვლევის პროგრამის თეორიული ნაწილის დამუშავების არანაკლებ რთულ პროცედურებს, ცნებების ოპერაციონალიზაციას, ემპირიული მონაცემების ინტერპრეტაციას, ე.ი. ყველაფერ იმას, რასაც უწოდებენ მეცნიერების მეთოდურ—მეთოდოლოგიურ სფეროს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ პროფესიონალური სოციოლოგია —საკმაოდ რთული დარგია.

მეთოდები თამაშობენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს მეცნიერული ცოდნის შექმნაში. ეს არის წესები და პროცედურები, რომელთა საშუალებით მყარდება კავშირი ფაქტებს, ჰიპოთეზებსა და თეორიებს შორის. ისინი წარმოადგენენ იმ "ალგორითმებს", რომლებიც შესაძლებელს ხდიან ემპირიული ობიექტებიდან თეორიის შექმნაზე გადასვლას. სწორედ მეთოდების დახმარებით ხდება ფაქტების შეკრება და ინტერპრეტაცია.

ფსიქოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ლაბორატორიული ექსპერიმენტი, რომლის მსვლელობაში დგინდება ადამიანთა ქცევის სხვადასხვა მხარეებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, სრულად ამოწურავს სოციალური გამოკვლევის ყველა შესაძლებლობას. ბევრი მათგანი, ვინც დაკავებულია კონკრეტული ეკონომიკით, აქამდე დარწმუნებულია, რომ მხოლოდ სტატისტიკური ანალიზის საშუალებით შეიძლება ფასების მერყეობისა და საქონლის მასის ობიექტური სურათის გადმოცემა, და, რომ იგი წარმოადგენს

ეკონომიკური ქცევის ყველაზე საიმედო საზომს. მათგან განსხვავებით, ანთროპოლოგები თვლიან, რომ შემეცნების ყველაზე საიმედო საშუალებად დღემდე რჩება "არაჩართული" დაკვირვება, რომლის შედეგადაც ჩვენ შევისწავლით ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობებს. ანთროპოლოგებისათვის შემეცნების ტრადიციულ მეთოდს წარმოადგენს საველე გამოკვლევები, რომელიც გულისხმობს აბორიგენების დასახლებაში ხანგრძლივ ცხოვრებას. მაგრამ ზოგჯერ ანთროპოლოგები იყენებენ მეთოდს, რომელიც იწოდება "მონაწილე" დაკვირვებად: მეცნიერი მონაწილეობს იმ მოვლენებში, რომლებსაც არეგისტრირებს, აკვირდება და აღწერს. მეცნიერთა ჯგუფი, მოაწყობს მეცნიერულ ექსპედიციას და მიემგზავრება დედამიწის მიტოვებულ რეგიონებში პრიმიტიულ ტომებზე დასაკვირვებლად, რათა შეისწავლოს მათი ჩვეულებები: ქცევის ნორმები, რიტუალები და ცერემონიები.

სიმბოლური ინტერაქციონისტებისათვის სოციოლოგიური კვლევების საყვარელი მეთოდი ყოველთვის იყო ჩართული დაკვირვება, როცა სოციოლოგი რაღაც პერიოდის მანძილზე ცხოვრობს, მუშაობს და მოქმედებს იმათთან ერთად, ვისაც შეისწავლის.

მაგრამ ყველაზე ხშირად სოციოლოგიას აიგივებენ ანკეტური გამოკითხვის გამოყენებასთან. ანკეტური გამოკითხვა — სოციოლოგიური საქმიანობის ყველაზე მასობრივი და პროდუქტიული სახეობაა. გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ მისი დახმარებით სოციოლოგიური ინფორმაციის 80%-მდე გროვდება. თუმცა, მათგან მხოლოდ 20% მუშავდება, ხოლო დანარჩენი (დაახლოებით 80%), ვერ აღწევს შემკვეთამდე.

სოციოლოგიაში, პირველადი მონაცემების შეგროვების დროს იყენებენ ოთხ ძირითად მეთოდს, რომელთაგან თითოეულს აქვს ორი ძირითადი ნაირსახეობა: გამოკითხვა (ანკეტირება და ინტერვიუ), დოკუმენტების ანალიზი (თვისებრივი და რაოდენობრივი — კონტენტ—ანალიზი), დაკვირვება (არაჩართული და ჩართული), ექსპერიმენტი (კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი).

გამოკითხვა ეწოდება პირველადი ვერბალური (ე.ი. სიტყვიერი) ინფორმაციის შეგროვების მეთოდს, რომელიც გამოიყენება სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ეკონომიკაში, დემოგრაფიაში, ეთნოგრაფიასა და სხვა მეცნიერებებში. გამოკითხვა აქტიურად გამოიყენება მარკეტინგულ გამოკვლევებში, რომლებიც ამჟამად შრომითი მოწყობის მნიშვნელოვან სფეროებს წარმოადგენენ.

გამოკვლევის საშუალებების —ანკეტების, ინტერვიუების, დაკვირვების თავისებურება სოციოლოგიაში ისეთია, რომ სოციალურ ორგანიზაციებში მიმდინარე სოციალური პროცესები, აისახება საზოგადოებრივი აზრის საშუალებით, უბრალო ადამიანების გამონათქვამებში იმაზე, რაც მათ ირგვლივ ხდება. სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებს გააჩნიათ არა მხოლოდ მმართველობითი ღირებულება, არამედ დიაგნოსტიკური მნიშვნელობაც; ისინი წარმოადგენენ თავისებურ "გამადიდებელ შუშას", რომლის ფოკუსშიც ცხადად ჩანს როგორც მიღწეული წარმატებები, ისე არსებული ნაკლოვანებებიც.

სოციოლოგიური გამოკვლევები სულ უფრო რთული და ძვირადღირებული ხდება. მკვეთრად იზრდება მეცნიერული ინფორმაციის მოცულობა, რომელიც საჭიროა ათვისებულ იქნას მანამადე, სანამ საძიებო და დანერგვით საქმიანობას შევუდგებოდეთ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას, ისევე როგორც სოციოლოგიური გამოკვლევების ნებისმიერი სხვა სახეობის გამოყენების დროს, არსებობს უამრავი ნიუანსი, რომელიც ცნობილია მხოლოდ პროფესიონალებისათვის, დამწყებთათვის კი — უცნობია. იმაზე, თუ როგორ იქცევა ანკეტიორი (ინტერვიუერი), როგორ აცვია მას, როგორ რეაგირებს პასუხებზე, როგორ არის განლაგებული კითხვები და როგორაა ისინი ფორმულირებული ანკეტაში, დამოკიდებულია საბოლოოდ სოციალური ინფორმაციის ხარისხი. ადამიანები, მაგალითად, სხვადასხვანაირად პასუხობენ ქალ-ინტერვიუერსა და მამაკაც-ინტერვიუერს; უპირატესობას ანიჭებენ მოკლე ანკეტას დიდ ანკეტასთან შედარებით, უფრო ხშირად ირჩევენ იმ პასუხებს, რომლებიც განლაგებულია პირველ რიგში ალტერნატიულ სისტემაში. ინფორმაციის უფრო მეტი ჭეშმარიტება დამოკიდებულია ინსტრუმენტის

გადაწყვეტის უნარზე, მის საიმედოობასა და მკაცრ მეცნიერულ პრინციპებთან შესატყვისობაზე.

ყველა საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებაში — ინსტრუმენტები ასრულებენ ერთი და იმავე როლს, განსხვავებული შეიძლება იყოს მხოლოდ მათი ეფექტურობა. სოციოლოგიაში ინსტრუმენტებად იყენებენ: ანკეტებს, ინტერვიუს, დაკვირვების ბლანკებს და სხვ. ამასთან, ინსტრუმენტი არ ასრულებს პასიურ ფუნქციას. ის წარმოადგენს თეორიის კონკრეტიზაციის საშუალებას, ერთი ენიდან მეორეზე "მთარგმნელს".

ინსტრუმენტები — ეს არის საშუალებათა ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც სოციოლოგი ცდილობს შეამოწმოს, დაადასტუროს ან უარყოს დასახელებული ჰიპოთეზები. სოციოლოგიაში ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: ანკეტა, ინტერვიუს ბლანკები, სტატისტიკური ცხრილები, ექსპერიმენტის ჩატარების ოქმები და ა.შ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსაც გააჩნია თავისი ინსტრუმენტები —სკალპერიდან მიკროსკოპამდე.

ტელეფონი და კომპიუტერი, რომლებიც ფართოდ გამოიყენება გამოკითხვის დროს, მეცნიერული შემეცნების ინსტრუმენტებს არ წარმოადგენენ. ისინი მხოლოდ რესპონდენტთან კავშირის, ან მონაცემთა ანალიზის სწრაფი ტექნიკური საშუალებებია, რომლებიც გამოგონილ იქნა არა სოციოლოგიური საჭიროებისათვის. ინსტრუმენტებს გააჩნიათ სხვადასხვა სირთულე და ასრულებენ სხვადასხვა შემეცნებით ფუნქციას.

ფუნქციონალური განსხვავების მიუხედავად, სოციოლოგიაში გამოყენებულ ყველა მეთოდს, აქვს საერთო შინაგანი სტრუქტურა. მასში შეიძლება გამოიყოს ელემენტების სამი ჯგუფი: ნორმატიული, ინსტრუმენტალური და პროცედურული. რაც უფრო რთულია შესასწავლი მოვლენა, მით უფრო რთული უნდა იყოს ინსტრუმენტი.

ემპირიული გამოკვლევების სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ ის არის არა რომელიმე სოციალური ფაქტის უბრალო ამორჩევა (ასეთი ამორჩევა შეიძლება იყოს სუბიექტური), არამედ მეცნიერული პროცედურა, რომელშიც გამოიყენება, როგორც ინფორმაციის შეგროვების სპეციალური სოციოლოგიური მეთოდები, აგრეთვე სპეციალური სოციოლოგიური ტექნოლოგიებიც.

წიგნის სრული ვერსიისათვის მიაკითხეთ
ბიბლიოთეკას

ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნების მაღაზია
რუსთაველის ქ. N 40-ში

წიგნის ღირებულება შეადგენს 10 ლარს